

135/a N 403

ଓଡ଼ିଆ  
ପ୍ରକାଶନକାରୀ

# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ପ୍ରକାଶନକାରୀ ଲାଭାତ୍ମକ

ପ୍ରକାଶନକାରୀ № 203.

ମାର୍ଚ୍ଚି 9 1911 ମ.

ପ୍ରକାଶନକାରୀ № 35



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



ფოტო გულის სოლის.

## ე რ ე გ ა ბ

შუქი მთვარისა მდუმარ სოფელს ეფინებოდა,  
და მე—ლტოლვილი—მწარე ცრემლით ვიმდულრებოდი;  
შორს ქვეყანაში გულის სატრფო მეგულებოდა,  
და იმ ქვეყნისკენ მარტოდ-მარტოდ ვეშურებოდი.

მივედი, ვნახე მის გარშემო მთა-ლმერთი სდლმდნენ,  
შავად მოსჩანდა ნაღვლიანი მათი კედლები,  
მდინარის ზერითი იდუმალის ოხრითა სწუბნენ,  
მდუმარედ იდგნენ ხენი, ვითა მკვდართა ძეგლები.

სდლმდა ქალაქი—სიყვარულის ძელი ნანგრევი—  
და ჩემი სახე ფილაქანზე შავადა თრთოდა;  
ცრემლი მდიოდა, დაობლებულს, —ნაღველ ნარევი  
და გზას ვკოცნიდი, სადაც სატრფო ოდესმე რბოდა.

„რა უყავ სატრფო!“ მდუმარ ქალაქს ვეკითხებოდი.  
„რა უყავ სატრფო?!—მისი ყრუ ხმა მეკითხებოდა...  
მე, კვლავ ობოლი, მწარე ცრემლით ვიმდულრებოდი  
და მთვარის შუქი კვლავ ქვეყანას ეფინებოდა...  
ი. მჭედლიშვილი.



## ს ა მ უ ბ ლ ი ს!

როს მომების შენი კვნესა,  
მკუდს მიდაგავს ცერხლის ალი,  
უა, ვით შტოსა გაძირულსა,  
მძლავრად მარხევს ქარიშხალი!  
სად გამტყორცნის მე არ ვიცი  
ბედკრიულს მისი ტლანქი ძალი,  
ვაჲ რა მწარე არის ჩემთვის  
ეს ცხოვრების ქარიშხალი!

—  
შოცნების ზღვა როს ბობოქრობს,  
გვირგვინს გიშნავს ულერაჭნარის,  
ზურმუხტ პკერლზე გექარგება,  
სხივ-ნათელი ვარსკვლივ-მოვარის!  
მაგრამ ღელვა ზღვის ყუჩდება,  
ბნელში ჰქერება ნათლის თვალი,  
და შენც ჩემებრ გსუსხავს, გარხევს,  
ულმობელი ქარიშხალი!

ჭ. ა. სვანელი.

## ც

## შირს გაუძეო...

— სხივი ცის თაღს იგურისტებს,  
სიო ყვავილს ჰკოცნის ცკვიტად,  
ნამი სოსან ის ფურცელს  
აჰკუნწელია მარგალიტად.

\* \*  
— ტყა შრიალებს, ველი ფშინავს,  
ნაკალული მორცხობს, ჰკრთება,  
კირს გაუძელ, ჩემო ტურფავ,  
შენთვიც მალე გათენდება

კიკნა—ფშაველი.



## ცილეთ გადინარებ

ცელქო მდინარევ, მახსოვს, — ხშირად შენს ნაპირებზე,  
დალონებული, სევდიანი მიმოვდიოდი,  
შენს ტალღათ ბუტბუტს და იდუმალ ღელვას გულისას,  
ჩემს ღრმა წუხილსაც ვუტოებდი, შემოვჩიოდი.  
ან კი რა მექნა... ჭირთა ჩემთა თანაგრძნობელი  
ვერსადა ვპოვე: ზეცა ცრუა, ყრუა სოფელი...  
დავგმე, დავსწყველე, შევაჩვენე ქვეყნის წეს-რიგი,  
ქვეყნის წეს-რიგი... აი, რისოვის მდევნის დღეს იგი!  
მას აქეთია შენ მოგმართე, ლალო მდრინარევ,  
რომ ცრემლი ჩემი შევუერთო გიუმაჟ ტალღება...  
ვდგევარ მარტოკა და ყურს ვუგდებ შენს ბუტბუტ-დუდუნს,  
ვით მშობლის ოხრის, მწუხარების ფიქრში წამლებსა.  
ნურც შენ გამწირავ, შენ გეთაყვანევ,  
მომეც მშვიდობის გრილი სავანე...  
და, როდესაც კი მივატოვო მე ეს ქვეყანა,  
ტალღათა ჩემებით მიგალობე მწუხრის ფაში ნანა.

ბილილა.

## გოგო ერალი

(მიშა ქველიძეს)

ნაღვლიანი, სევდიანი,  
გულ-აზოსკენით როცა ვმღერი,  
სულ სხვა მკლავს და სხვა მაწუხებს;  
თვალწინ მიდგას მშვენიერი,  
ერთხელ ტურფა, ლიდებული,  
წარბ-წამწამებ ჩაქარგული,



ჩვენი მომღერალი მახეილ ნანობაშვილი (დ' არიალი)

თვით კერპების სიაშაყე,  
დღეს კი—ელფერ დაკარგული...

სიმღერაში ზოგჯერ ვგვარ  
ქარიშლიან ელფა-ქუხილს,  
მასში ვხედავ მშვენიერის  
გულის კვნესას, გულის წუხილს.

რისთვის მინდა მე სიმღერა,  
ციდამ გრძნობით ჩანაბერი,  
თუ ყველა არ მივაწვედრე,  
ვინცა მყავდა მშვენიერი.

არც გამოვლევ სიმღერაში  
გრძნობა-ნალეს სიმწერასა,  
ამითი ზოგს სიტკბოს ვასმევ  
და ზოგთ კიდევ ძიმწარესა.

სიკადილამდე ეს სიტყვები  
გულზე უნდა დავიწერო:  
მაინც ისევ ლამაზი ხარ  
ჩემთვის, ჩემი მშვენიერო.

პოეტ სიტყვას, მკვეთრს, გრძნობიერს,  
რო გაიგებ, ცაში ვფრინავ,  
და მათ ჩათქვამს მშვენიერზე  
მე სიმღერით ხალხში ვუინავ.

ეს ბუნების წყალობაა,  
სიმღერის ვინ ამიკრალავს?  
ფუ, იმ ვაუკაცს მშვენიერის  
ოხერა-კვნესას ვინცა ჰმალიავს!..

და მხოლოდ ის, ჩუმ ოცნებით,  
მის ბედ-ილბალს ეძებს ცაში,  
მშვენიერს კი აქა ჰედიავს,  
გამომწყვდეულს გალიაში.

მ. მღვიმელი.

\*\*  
უკვდავებისა, შარბათს ვსეამდი, ტკბილად ვმღეროდი,  
ცას, მარმარილოდ გადაშლილსა, შორს გავცეკროდი,  
ჩემსკენ ლაპლაპით ზღვის ტალღები მოისწრაფოდნენ  
და შეთანხმებულ ჭივლთა ჩერეით ჰაერს ამკობდნენ!..

ამ ღროს შენ მოხველ, გველის ენაც თან მოიტანე  
და ბალი ჩემი, უცხოდ შლილი, ქვეშ მოიტანე;  
წამართვი დიღნი საუნჯენი, დიდის გულისა,  
დამიხშე რწმენა, სიყვარული-სიყვარულისა!..

ათასის წლობით ნაშენები ფიქრი, სწრაფვანი,  
გარდმონაცემი ოხვრით, კვნესით წრფელი ზრახვანი,—  
შენ ნიავს მიეც, აღნაგისა დამაცცევარსა,  
და აწ გაძრცვნილი შევცეკერ ჩემთ შვილთ და ჩემს სახლ  
კარია!..

მაგრამ ნუ ჰეთირობ, ჩემო უღვთოდ დამაგმობელო,  
შეუბრალებო, აანჯვის, ვაის, კვნესის მშობელო,—  
რომ სამუდამოდ გადვიწყვიტე ხსნისა იმედი  
და დასაკლავად შენს წინაშე დავხარე ქედი!..

ვსდეუმეარ, დუმილში ბრძოლის ცეცხლი უფრო ღვივდება...  
მჯერა, ოდესმე ჩემი ზეცაც გამობრწყინდება!..  
მაშინ ელფის ფრთით მოვალ შენთან, გულს დაგესობი  
და კვლავც ჩემიც გვირგვინითა შევიმოსები.

ბ. ახოსპირელი.

## ვ ე ნ ე რ ბ

(კიდევ რ. ლ—ას)

1  
თოვლის ფიფქი მოღუშული, ყინვის ნაკვთზე შეკუმშული,  
ვით პეპელა ფრთებ-დახშული, თავს გევლება, თრთის, ბარ-  
ბაცებს,

მზის სხივთაგან მოქსოვილი, საოცნებო ტბის ყვავილი  
ახალ ჰანგად აღჭურვილი ტუჩის გაღნება, სურნელს გრაცებს.

2  
ეგ გულ-მკერდი ბაბბის-ქულა,  
მგოსნის კოცნით ჩათუთქულა.

3  
იყავ ჩუმი, არა-რა სოქვა, ვით გულ-ცივი საფლავის ქვა...  
ეგ უსიტყვო ბგერა, სუნთქვა მხოლოდ ჩემს სულს ასხივოს-  
ნებს,—  
ვერ გაიგებ,—ჩემს გულს რა სწადს, ვერ გაიგებ ჩემს ცრემლო-  
ნაკადს,  
გთხოვ, შენ ლოცვას, შენს ხვაშიადს ნუ გაუმხელ ჩე-  
\* მებრ შეოსნებს.

ვენერა ხარ ცვალებადი,  
ზღვის ქაფისგან დანაბადი.

4  
როცა სიო შენს კულულებს, ჩემს სიმღერას წასჩურჩულებს,  
როცა სხივთა თაიგულებს მოვკრეფ ცაზე, წარვტაცებ ღმერთს,  
მაშინ ზღვის მკერდს სარკედ-ქცეულს, სევდის ყვავილს ფერ-  
მილეულს,  
კოცნას—ღამის ნისლში ხვეულს—შენ მოგიძლვნი, მხოლოდ  
\* შენ ერთს.

5  
თვით შენშია ჩამარხული  
სიცოცხლისა გაზაფხული.

ი. გრიშაშვილი.

# პერი და ასერი...

საფონებელი ნიმუში

ძველია...

ძველი წელიწადია...

ძველი წელია, ვით საუკუნე, დროთა უამისგან დახავსე-  
ბული...

იგი, იგია ყველგან დევნილი, თვით ბუნებისგან: წყეუ-  
ლი, უერენებული...

მან მშობელ მიწას, ვით ულმობელმა, თეთრი ზეწარი  
გადაიფარა; ამით ნაყოფი—ცხოველთა საზრდო—მას მოაყ-  
ლა, ვითა ბატონშა მშრომლისგან ღალა—ნაჭირნახულე—მძი-  
მე სარქველსა ამოაფარა...

მან, ვითა მშურმა, მაღლა ზენასა წარსტაცა მზეი,—  
ვით შიშველს ცეცხლი დამათბობელი, ჩაუთარებია უფსკრუ-  
ლისაკენ—არე მარისა მაცხოვრებელი...

მან, ვით ბოროტმა, ყოველ ცხოველის სული შექსუ-  
თა... და გულცივობით თვით ჰაერიც-კი, უექრა, უექინა...

აბა, შექხდეთ ჩემს სამშობლოს, ნასამოთხარსა... და  
დღეს-კი მისგან გავერნებულსა...

კამდის აბჯენილი მთის წვეროები—სადაცა ჰერენდნენ,  
ვითა დარაჯნი, ამაყ მზის წევრეტნი ორბნი არწივნი; დღეს-  
კი ბუდეში სხედან მძინარნი—მთლათ დათოვლილან, დაზ-  
ნექილან, რა მზისა სხივნი მიჰფარებია...

იქ მთისა გული უტეხის ტყითა, ყოველთვის შემკულ  
მწვანის ფოთლოთა—სადაცა რბოლენ მშველნი, ირემნი,  
მკვირცხლნი და მცკვიტნი, თავისუფლათა—დღეს დატვირ-  
თულან, ვით მონა მძიმეს ტვირთითა; ნაზი ტოტები ჩაშის-  
ტეხით, თვით მოღუნულან, წელში მოხრილან... ხოლო  
ცხოველნი აღარა სჩინან, ტყისა ჩივილსა, ხეთა კვნესასა,  
განშორებიან...

შექხდ ფერდობსა, მთისა კალთასა, ნაზ ყვავილების  
ბუდესა ველსა—სადაც ჰყვავოლნენ: ია, ზამბახი სურნელო-  
ვანი; მასზედ დაჰფრენდნენ, თავს ევლებოლნენ პეპელები,

ვითა სატრუნი, ნაზი კეკლუცნი—დღეს კი თოვლისამთლად  
მოფენილა და მეღა-ტურის საკუნტრუშოდ გარდაქცეულა...

თვით ნაჭადული—ცრემლი მთისა, ვით შობილისთვის  
ძუძუ მშობლისა, მომდინარეი ველ-მინდორზედა—დღეს მო-  
ყანულა, ვით სნეულთ მაჯა გაყუჩებულა...

ძველია...

ძველი წელიწადია...

იგი წავიდეს, აღარ მოვიდეს, დამიწყევლა...

აგრა, ზღვასთან ჩემსა ბალნარსა, სამოთხის მგზავსა, სა-  
დაც ჰყვავოლდა ბუჩქისა ვარდი; მაზედ დასტრუდა, ვითა  
კეკლუცი თავის სატრუნისა, ბულბული ნაზი... მეც მით ვხა-  
რობდი, მით ვსულდგმულობდი; სიხარულისა ცრემლებსა  
ვდღვრიდი და ნაჭადულად, მის ფესვთ საპკურად, ალერისის  
ნიშნად, მას ვუგზავნიდი... დღეს-კი რას ეხედავ: ჩემს ტურ-  
ფა ბუჩქსა, მთლათ გათოშილსა; ხოლო ნაზს ვარდსა, ჩემს  
ნაინატრსა, ყინვით დაფურცვლილს და თოშა თოვლით ძირს  
წამარხულსა...

დავსტირი, ვგოდებ, ვითა დიაცი... მსურს ჩემის ცრემ-  
ლით, ჩემს ვარდის ბუჩქსა ძირი მოუთბო... მაგრამ, ვაგ-  
ლას მე, მკაცრ სიცივისგან ცხარე ცრემლები მეყინებიან...

განვლო ძველ წელმაზ!..

დადგა ახალი!..

არა, მან ხოლო რიცხვი იცვალა...

რაც ძველი იყო იგივეა განახლებული...

მე მომილოცეთ, ღდეს ვიხილო, და გაზაფხული, ჩემს  
ნაბალნარზე მაცხოვარი მზე...

მე ვერ ველირსო!?


მაშინ რალას ვაქნევ ჩემს სიცოცხლეს!... და, მეც  
მათთან... ბუჩქის ძირთან ამოვეფარო უდა მივიმარხო, ვით  
შეილი მშობელ ვარდის ფურცლებთან...

ძველი...

ახალი წელიწადია...

ეს—ჩემის ქვეყნის მკაცრი მრერია...

ს. გლახაშვილი.



ქართულ თეატრის ქადა.



რუსულ თეატრის ქადა.